სახალხო გაზეთი

№ 658 ოთხშაბათი, 25 ივლისი, 1912 წ. № 658

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის-ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი“ ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ. **სახ. გაზ. კანტორა.**

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 მარიამობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 75 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან**, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

თ-დი გიორგი იორამის ძის თარხნიშვილის

წლის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია 26 მკათათვეს სოფ. ახალქალაქში, ერთაწმინდის საგვარეულო ეკლესიაში, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **მეუღლე მისი, შვილები, შვილისშვილები, დები, სიძეები** და **რძალი.** (1.569.1)

ახალი კლუბი

ოთხშაბათს 25 ივლისს ჩვეულებრივად

„სინემატოგრაფი“

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

ანონსი: ხუთშაბათს საყმაწვილო საღამო; პარასკევს 27 ივლისს, ჩვეულებრივად სინემატოგრაფი და **საზანდარი.** (1.1392.1)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ყალამშიისა (ბორჩალოს მაზრაშია) და **ატენის** (გორის მაზრაშია) **სკოლებისათვის საჭიროა**

გამოცდილი მასწავლებელი.

მასწავლებლის ჯამაგირი თვეში 30 მან.; გარდა ამისა მიეცემა ბინა, შეშა და მოსამსახურე. თხოვნა უნდა გამოიგზავნოს წ. კ. საზოგადოების სახელზე ტფილისში 10 აგვისტომდე. (3.1397.1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძალინსკის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ღამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფიდლეროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქრო ავ. (ქირურგიული)	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ღამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფიდლეროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. ავადმ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათა შანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „**606**“ **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.77)

ჯაჭვზე დამყარებულ ამხანაგობის

„ს. მ. კირაკოზოვი და ბ. გ. ოგანოვი“-ს,

გამგეობა ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამხანაგობის წესდება უმაღლესად დამტკიცებულია 1912 წ. 10 ივნისს, **ამხანაგობამ დაიწყო მოქმედება ამა წლის 1 ივლისიდან და ძირითად თანხად 1,200,000 მანეთი აქვს.**

ამხანაგობის გამგეობა იმყოფება **ქ. კავკავში.** გამგეობის დირექტორებად ამორჩეულნი არიან:

სერგეი მარკის ძე კირაკოზოვი, ივანე გოლდანის ძე ოგანოვი, გრიგორი გოლდანის ძე ოგანოვი და ივანე ილიას ძე ვავილოვი.

ამხანაგობა აწარმოებს ნარდად (Оптомъ) და წვრილ ვაჭრობას ფართლეულისას.

I. ნარდზე სავაჭრო საწყობებია:
კავკავში, გროზნაში, გეორგიევსკში, ტფილისში, ქუთაისში, გეორგიევსკისა და გროზნას ბაზრობაზე.

II. წვრილად ვაჭრობა არის:
კავკავში, გეორგიევსკში, პიატიგორსკში, ტფილისში, ქუთაისში, სტანიცა არდონში და სოფ. პროსკოვეისკში.

(10.559.6)

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა **ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,** (აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.
ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში—ელენე ვირსალაძესთან
ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.
გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან.

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—1153—3)

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

გამოსულია და იყიდება ი. გედევანიშვილის პიესა

„გამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25. კ.

გამოსულია და იყიდება

არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი:

I ტ.	„ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „	75 კ.
II „	„ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „	80 კ.
III „	„ნააზრევი“ „ „ „ „ „ „ „ „	65 კ.
IV „	წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „	85 კ.

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 346)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. ძოწიევი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606“-ით. (წლ—1018—39).

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.161)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.**, № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—68)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 182. (თ. 1037 2а6)

ექიმი ს. ი. ბძელიშვილი შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ: დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. (0—550—11)

ექიმი აბასთუმანში **ე. ი. მინასიანცი** იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (წ. 1347.211)

ექიმი კბილისა აბასთუმანში **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—27)

ექიმი ქალი კბილისა **ნინო რცხილაძე** 20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში.** 3—9 საათამდე.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3. ს. გაბაშვილისა. (უ)

ექიმი გ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ. № 67. სახლი სვანიშვილისა.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—129

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ბეჭდვითი საქმის მთავარმა სამართველომ ამ დღეებში გამოსცა ცირკულიარი, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს სხდომათა ანგარიშების გაზეთებში დაბეჭდვის მოწესრიგებას ეხება. დღევანდლამდე ამ ანგარიშების ბეჭდვის საქმე იმდენად გამოურკვეველია, რომ ჟურნალ-გაზეთებს ხშირად უხდებათ პასუხის გება ამა, თუ იმ დეპუტატის სიტყვის „თავისებურად“ მოთავსების გამო. წესი ისეთია, რომ ან სავსებით უნდა მოიყვანო სხდომის მთელი ანგარიში, ან, თუ ეს შეუძლებელია, იმდენად უნდა შეამოკლო, რომ დაცულ იქნას აზრი ყველა ორატორის სიტყვისა რომელიმე საკითხის შესახებ. ყოველდღიურ გამოცემისათვის კი ასეთი წესი მეტად უხერხულია ტეხნიკურ მოსაზრებისა გამო.

ახალ ცირკულიარის, „რუსკია ვედომოსტი“-ს სიტყვით, არავითარი გაუმჯობესება არ შეაქვს ამ საქმეში.

„ახალი ცირკულიარი—ამბობს ხსენებული გაზეთი—ცდილობს ამ საკითხის მოწესრიგებას, მაგრამ ეს მოწესრიგება უფრო მეტად მავნებელი გამოდის ბეჭდვითი სიტყვის ინტერესებისათვის.

ცირკულიარი ამბობს, რომ სრულიად „თავისუფლად“ შეიძლება დაბეჭდვა მხოლოდ მთელი სტენოგრაფიული ანგარიშებისა. მაგრამ სრულს ანგარიშებს არც „ერთი გაზეთი არ ბეჭდავს და არც შეუძლიან ტეხნიკური სიძნელის გამო, ამიტომ სტენოგრაფიული სრული ანგარიშების თავისუფალ ბეჭდვის უფლებას გაზეთებისა და მის მკითხველთათვის მხოლოდ აკადემიური მნიშვნელობა აქვს, სათათბიროს სხდომების კარლიაობა გაზეთებისთვის პრაქტიკულად მოკლე ანგარიშების მოთავსების უფლებაში გამოიხატება. ასეთ მნიშვნელოვან საკითხს ცირკულიარი მეტად შეუფერებლად სწყვეტს იგი ამბობს, რომ „ყოველი დამახინჯება ამ ანგარიშებისა თვისების, თუ რაოდენობის მხრივ... თუ ამ დამახინჯებაში აღმოჩნდება აკრძალული შინაარსი, უეჭველად განხილულ უნდა იქმნას როგორც დეპუტატების მოქმედებისაგან დამოუკიდებელი დანაშაული.“ სიტყვა „ყოველი“ მით უმეტეს, როცა იგი ანგარიშების რაოდენობას ეხება, პრესისათვის უეჭველად მრავალ გაუგებრობას დაჰბადებს, რასაკვირველია, ანგარიშების აზრის შეცვლა დეპუტატებისაგან დამოუკიდებელ მოქმედებად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ თუ შინაარსი კამათისა მართებულად არის გადმოცემული, მაშინ, მიუხედავად მისი შემოკლებისა, გაზეთის სამართალში მიცემა ყოველ საფუძველს მოკლებულია“

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ადმინისტრატიული პრაქტიკა ყოველი საშუალებით ცდილობდა, რომ სახელმწიფო სათათბიროს სხდომების ინფორმაცია გაზეთებს ყოველთვის შეზღუდულ-შემოკლებული სახით მიეწოდებინათ მკითხველებისათვის, რასაც ერთხელ კიდევ ზედმეტად ამტკიცებს ახალი ცირკულიარი, რომელიც ადგილობრივ ადმინისტრატორებს ფართო ასპარეზს აძლევს დამოუკიდებელ მოქმედებისათვის.

„წარმომადგენლობით დაწესებულებებს—დაასკვნის გაზეთი—მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ ჯანსაღად ცხოვრება, როდესაც მათი მოღვაწეობა ფართო საზოგადოებრივ მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობს; მხოლოდ მაშინ შეიძლება დამყარდეს დეპუტატებსა და მათს ამომრჩევლებს შორის ცოცხალი კავშირი“.

ახალი ამბავი

ტფილისი

სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გარშემო. ქალაქის გამგეობის სასტატისტიკო ბიურომ 24 ივლისის ნაშუადღევის ორ საათამდე სამსახურის ცენზით საარჩევნო სიებში შეიტანა: რუსთა კურიიდან—2502 კაცი და საერთო—1922.

— გუშინდლამდე ქალაქის გამგეობაში განცხადებანი შეიტანეს და საარჩევნო სიებში ჩაწერა ითხოვეს: 47 ბინის დამქირავებელმა, რომელნიც ბინის სახელმწიფო გადასახადს არ იხდიან, 2—ცოლის რწმუნებით და 8—პენსიონერმა.

— გუშინდლამდე სასტატისტიკო ბიურომ ბინის გადასახადის ცენზით საარჩევნო სიებში შეიტანა: რუსთა კურიიდან—1156 კაცი, ხოლო საერთოდან—2,325.

— სავაჭრო-სამრეწველო გადასახადის ცენზით გუშინდლამდე ბიურომ საარჩევნო სიებში შეიტანა: რუსთა კურიიდან—203 კაცი და ადგილობრივ კურიიდან 1276.

— სავაჭრო გადასახადის მიხედვით გუშინდლამდე ტფ. მაზრის მცხოვრებთაგან სიებში შეიტანა: რუსთა კურიიდან—12 და საერთო—298.

◆ **წალკიდან ტფილისში წყლის გამოყვანის** საკითხის განსახილველად 27 ივლისს კრება ექნება ქალაქის საბჭოს სარევიზიო და სატეხნიკო კომისიებს.

◆ **გორის ეპისკოპოსი ანტონი** ახალ ათონის მონასტერში გაემგზავრა.

◆ **არქიმანდრიტი ნაზარი,** საქართველოს მონასტრების ბლაღოჩინი, რომელიც მონასტრების დასათვალიერებლად იყო წასული, ტფილისში დაბრუნდა.

◆ უწმინდესი სინოდის განკარგულების თანახმად, საექსარხოსოს ზოგიერთ ეკლესიაში მეორე მედავითნეების თანამდებობას აუქმებენ.

◆ ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ გამგეობის საგანგებო საქმეთა მოხელე **ბ. ფრანცი,** რომელმაც ტფილისის საფოსტო სატელეგრაფო ოლქის რევიზია დაამთავრა, გაემგზავრა ბათომის ოლქში და ქუთაისის გუბერნიაში იქაურ საფოსტო სატელეგრაფო დაწესებულებათა დასათვალიერებლად.

◆ **ფილოქსერასთან ბრძოლა.** კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიამ უკვე გადასდო 5,000 მან. კახეთში ფილოქსერასთან საბრძოლველად. საფილოქსერო დასები უკვე შემდგარია და კახეთს ამ დღეებში გაემგზავრებიან.

◆ **ტფ. ფუნიკულერის საზოგადოებას** განუზრახავს, ლერმონტოვის ქუჩის კუთხიდან ფუნიკულერის ქვედა სადგურამდე ელექტრონის ტრამვაის შტო გაიყვანოს თავის ხარჯით. შესაფერ ნებართვისათვის ასაღებად საზოგადოება ქალაქის საბჭოს მომავალს შემოდგომაზე მიმართავს.

◆ დავიდოვის ქუჩაზე, სახ. № 14. მდებარე მეწვრილმანეს შვილი წურინოვი 23 ივლისს, ყმაწვილ კობიაშვილის დედასთან მივიდა და ხუმრობით უთხრა, რომ მისი შვილი მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო. დედა მწუხარებით კინაღამ ჭკუაზე შეიშალა. მორთო ღრიალ-ტირილი და თმების წეწა. რამდენიმე ხნის შემდეგ შვილი დაბრუნდა და გახარებული დედა შვილს მივარდა. კობიაშვილმა გაიგო რა, რაშიც მდგომარეობდა საქმე, გაექანა წურინოვის დუქანში და ლანძღვა-გინება დაუწყო წურინოვს, რომელიც ამ დროს ნესვსა სთლიდა. ჩხუბის დროს უკანასკნელმა დანით ხელში დასჭრა კობიაშვილი. წურინოვს ოქმი შეუდგინეს. გამოძიება სწარმოებს.

◆ ტფ. საბოტანიკო **ბაღის ხილეულობას** ავადმყოფობათა გამოსაკვლევ კაბინეტმა სადგ. კასპიდან, თავ. ამირაჯიბის ბაღიდან მიიღო გამოსაკვლევად ყურძნის მტევანი, რომელსაც რაღაც ახალი ავადმყოფობა გასჩენია.

◆ ამ დღეებში შეუდგებიან **დიდხევის თბილისში** წვიმის წყალსადენ არხების გაყვანას. მუშაობა იჯარით გაიცა 33000 მანეთად.

◆ გამოვიდა პირველი ნაწილი **გადმოსახლებულთა სამმართველოს მიერ გამოცემულ წიგნისა:** „სანიადაგო-საბოტანიკო ექსპედიციის ნამუშევარი ამიერ-კავკასიაში დასასახლებელ ადგილების გამოკვლევისა“.

◆ ტფილისის გუბერნატორმა **ბოდბის სამრევლო სკოლის** მასწავლებელს ნება დართო, ქ. სიღნაღში გამართოს წარმოდგენა, რომლის შემოსავალიც ამ სკოლის სასარგებლოდ გადაიდება.

◆ სარატოვის გუბერნიის ქალ. ნიკოლაევსკის მარიამის სახელობის სასოფლო სამეურნეო სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭო აგვისტოს პირველ რიცხვებში გამართავს **ექსკურსიას** კავკასიაში უფროს კლასების მოწაფეთათვის. ექსკურსია მასწავლებელთა მეთაურობით შემოივლის: პიატიგორსკს, კავკავს, სამხედრო გზას, ტფილისს, ბათომს, ნოვოროსიისკს და სხვა ადგილებს, რომელნიც მეურნეობისა და ბუნების მხრივ საინტერესო იქნება მოწაფეთათვის.

◆ 23 აპრილს ტფილისში 78 უპასპორტო შეიპყრეს.

◆ დაიკარგნენ უკვალოდ ტფილისში მცხოვრებნი ებარინ მეჯრუმიანი, პოღოს მარქაროვი და ლევან აბრამიანი.

◆ შავ ჭირთან მებრძოლმა უმაღლესად დამტკიცებულმა კომისიამ, რათა თავიდან აიცდინოს მაჰმადიან მგზავრებს, რომელნიც წმინდა ადგილებში (მეკკა და მედინა, მიემგზავრებიან, დაგვიანების უსიამოვნება, 7 ივლისის განკარგულებით დაამტკიცა წელს შემდეგი დრო, იმ გემების წასასვლელად, რომლებსაც მაჰმადიანი მლოცველები მიჰყავს: ბეირუთში გავა 1 ოქტომბერს და ჯედაში 11 ოქტომბერს, თუ ოსმალეთის მთავრობა ჩვენ ნავთსადგურებს ხოლერისა და შავი ჭირის მხრივ უშიშრად იცნობს მაშინ საბოლოო ვადა გემების წასვლისა იქნება 13 და 21 ოქტომბერი. გარდა ამისა კომისია აცხადებს, რომ ვისაც სურს წელს წმინდა ადგილებში მოგზაურობა, შავი ზღვის ერთ-ერთ ნავთსადგურებში: ოდესაში, სევასტოპოლში, ფეოდოსიაში ან ბათუმში, უნდა მივიდნენ არა უგვიანეს 30 სექტემბრისა, თუ სურთ ბეირუთიდან წასვლა და არა უგვიანეს 10 ოქტომბრისა თუ სურთ ჯედაში გავლა.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტმა უკანასკნელ კრებაზე** დაადგინა: 1) იშუამდგომლოს სასოფლო ეკონომიისა და სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის განყოფილების წინაშე, რათა გადადებულ იქმნას ერთდროულად 1,200 მანეთი და ყოველ წლიურად 650 მანეთი, სატეხნიკო ლაბორატორიის მოწყობა-შენახვისათვის დ 2) ეთხოვოს განყოფილებას, რომ, შინამრეწველობის ტეხნიკოს—ინჟინრის მოხსენების მიხედვით, გადაიდოს 630 მანეთი, ადგილობრივ ენებზე წიგნაკების გამოსაცემად, მატყლის შეღებვა გაკეთების შესახებ.

◆ **ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის კრება,** რომელიც 23 ივლისისთვის იყო დანიშნული ხორცისა და პურის ნიხრის გადასათვალიერებლად, სხვა დროისთვის გადაიდო, რადგანაც საბირჟო კომიტეტმა კომისიას დროზე არ აცნობა დასაკლავ საქონლისა და ფქვილის ფასები.

სასამართლო.

◆ **კავკავში სამხედრო-საოლქო სასამართლომ** დაიწყო გარჩევა ნალჩიკის ხაზინის გამძარცველ ყაჩაღების საქმისა.

სოფლად

◆ **ს. სურმალი.** (სამეგრელო) სურმალის სოფლის გამიჯვნა ჯერ არ გათავებულა. მიწის მზომელს მაინც ბევრნი უჩივიან. საერთო გეგმა ჯერ არ დაუმტკიცებიათ. მომჩივან წულუკიძეებისთვის საჭირო უწყება არ ჩაუბარებიათ მიუხედავად ამისა, მთავრობის განკარგულებით, გლეხებს ნებას არ აძლევენ საჭირო მუშაობა აწარმოონ. თავის ქონებას მოაშორეს შვიდი ათასამდე გლეხი, რომელთაც მოუხნავთ და დაუმუშავებიათ მიწა. რამდენიმე შეტაკება უკვე მომხდარა. საქმე შეიძლება უფრო გართულდეს. გლეხობას შიმშილი მოელის. („ზ. რ.“)

◆ **სოფ. არეში** (თელავის მაზრა). ორმა შეიარაღებულმა უცნობმა გაძარცვეს სოფ. ლელიანის (სიღნაღის მაზრა) მცხოვრები ალბორიშვილი. მძარცველები შეიპყრეს, ისინი სოფ. არეშში მცხოვრები ლეკები აღმოჩნდნენ: მუჰამედ-ალი-ოღლი და შეიხმუჰამედ-ოღლი, რომელიც იცნო დაზარალებულმა.

◆ **აწყურის სასოფლო საზოგადოებასთან** სეტყვამ და ნიაღვარმა ძლიერ გააფუჭა ნათესი.

◆ **სოფ. კარდანახი** (სიღნაღის მაზრა) ალექსი ტურიაშვილმა ისე მძიმედ სცემა თავის მეზობელს მიხეილ ტურიაშვილს, რომ უკანასკნელი მეორე დილით გარდაიცვალა. ტურიაშვილი შეიპყრეს და პასუხისგებაში მისცეს.

◆ **დიდი კარაკლისი** (ერევნის გუბერნია). 15 აგვისტოს დაიხურება მერძეობის საზაფხულო კურსები; დაიხურება აგრეთვე გუმბრის სასოფლო სამეურნეო კურსები. კურსების დახურვამდე ლექციების მსმენელნი ხელმძღვანელებთან ერთად გაემგზავრებიან ბორჩალოს მაზრაში, სადაც აქაურ მშვენიერად დაყენებულ მერძეობის მეურნეობას გაეცნობიან.

იაკობ გოგებაშვილის ფონდი

იყო შემოსული 673 მან. 94 კაპ. კვლავ შემოვიდა რკ. გზ. მთავარ გამგ. ქართველ მოხელეთა შორის შეგროვილი 20 მ. 75 კ., ზ. კ. დიდი მამაშვილისგან – ახალციხიდან 2 მ.—

სულ 696 მან. 69 კაპ.

აკაკის მოგზაურობის გამო.

(საგანგებო დეპეშა ს. წესიდან).

დილის შვიდ საათზე ყვავილებითა და მწვანე შტოებით მორთული ეტლით გაემართა აკაკი ქუთაისიდან. თან ახლდნენ მოგზაურობის მოთადარიგენი: ვასილი პეტრიაშვილი, სამსონ დათეშიძე, ვარაზაშვილი, ისაკაძე და ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი.

ლეჩხუმის საზღვარზე აკაკის მოეგებნენ ცხენოსანნი, დერჩის საზოგადოების წარმომადგენელნი ეროვნულ ტანისამოსით და მექვენამდე ცხენდაცხენ გამოჰყვნენ. აქ გამართული იყო ყვავილებით შემკული საზეიმო თაღი ზედ—წარწერით: „სალამი სახელოვან მგოსან—მოქალაქეს“. თეთრ ტანისამოსიანი ქალები სირინოზის ხმებით უმღერდნენ. მგოსანი ხელში აიტაცეს და სკოლის დარბაზში გაშლილ სუფრამდე მიაცილეს. ბევრი სიტყვა ითქვა. ეროვნული სიმღერები გუგუნებდა. სიამოვნებით ცრემლები მოადგა მგოსანს და მადლობა გადაუხადა მკვიდრთ.

ალპანაში მგოსანს მოეგება ლეჩხუმელთა წარმომადგენლობა დ ლაილაშში მიიწვია. მგოსანმა აღუთქვა დაბრუნებისას შევლა.

სალამოთი ქრებალოს მიბრძანდა. აურაცხელი ხალხი შეეგება. მისალმების სიტყვები ბევრი ითქვა. მხცოვანი ჟურნალისტი ქაიხოსრო გელოვანი მშვენიერის ლექსით მიესალმა მგოსანს.

კვირას აკაკიმ ლექცია წაიკითხა. ლექციის შემდეგ გაიმართა სადილი. 200 კაცი დაესწრო. ბევრი სიტყვა ითქვა.

სადილის შემდეგ რაჭისაკენ გაემართა. საზღვარზე მოეგებნენ რაჭველთა წარმომადგენლები. მღვდელი ლონგინოზ კვიკვიძე გრძნობიერის სიტყვით მიესალმა.

თოლაში ორმოცზე მეტი ცხენოსანი აღტაცებით შეეგება. წინამძღოლად ნამყოფი თ-დი დიმიტრი ყიფიანი დიდის გრძნობით შეეგება და მგზნებარე სიტყვით აცრემლა მგოსანიც და დამსწრენიც.

გუგეულსა და სადმელშიაც წარმომადგენელნი მოეგებნენ. საუცხოვო სურათს წარმოადგენდა ხიდისკარის ვიწრო ხეობაში მიმავალი ცხენოსანი.

სალამო ხანს წესში მიბრძანდა. რაჭის გამოჩენილ ერისთავ როსტომთან ღამე გაათია. ბასაკონის უძველეს ტაძარში სამადლობელი პარაკლისი გადაიხადეს. შემდეგ მოჰყვა, საუცხოვო სიტყვები, ლექსები. ეროვნული ცეკვა, სიმღერა.

თუმცა დიდი გზა გამოიარა მაგრამ მგოსანი ჩინებულად გრძნობს თავს, დაღლილობა არცკი შეუტყვია.

კინემატოგრაფს განუწყვეტლივ გადააქვს ლენტზე მოგზაურობის თვალსაჩინო მომენტი.

21 ივლისი.

ქუთაისის რაჭველობა სამი კვირით ადრე შეუდგა სამზადისს საყვარელ მგოსნის მისაღებად. რის გამო შესდგა კომისია ვ. პეტრიაშვილის თავმჯდომარეობით, რომელმაც მგოსანთან შეთანხმებით შეადგინა მოგზაურობის გეზი, დაიქირავა ეტლები და დანიშნა დღე ქუთაისიდან გამგზავრებისა შაბათი, 21 ივლისი. 19 ივლის, ხუთშაბათს, სალამოს მატარებლით ტფილისიდან ჩამობრძანდა მგოსანი აკაკი, რომელსაც თან ჩამოჰყვნენ თემის რედაქტორი გრ. დიასამიძე, ს. მერკვილაძე, და ტფილისის კომისიის წევრი იობა ისაკაძე. ქუთაისის სადგურზე მგოსანს მიეგება ქუთაისის კომისია, რაჭველები და სხვანი, რიცხვით 60-მდე; კომისიის თავმჯდომარემ ვ. პეტრიაშვილმა მგოსანს მიართვა პურ-მარილი და უთხრა მოკლე სიტყვა, რომლითაც უძღვნა მგოსანს სალამი და მიულოცა მშვიდობით მობრძანება და მგზავრობა. მგოსანი თავისი მხლებლებით იმ ღამეს დაბინავდა სასტუმრო „გრანდ-ოტელში“; მეორე დღეს ქუთაისის კომისიას, რაჭველობას და დამსწრე კერძო პირებსაც გადაწყვეტილი ჰქონდათ ნადიმი გემართათ მგოსნისათვის, მაგრამ დაღლილობისა გამო აკაკიმ არ ისურვა და ამჯობინა დასვენება მთელი დღე, რათა შაბათ დილიდან კარკად ემგზავრა. პარასკევ ღამეს ცოტა წამოწვიმა, გზებიც მორწყო და ჰაერიც გააგრილა; ვფიქრობდით მეორე დღით იწვიმებდა და ცოტა არ იყოს ვწუხდით, მაგრამ ბუნებამ თითქო თანაუგრძნო, ხელი შეუწყო ამ დიდებულ მოგზაურობას. 21 ივლისს მშვენიერი გრილი დღე დადგა. მგოსანი ხუთ საათზე გამოღვიძებული დაგვიხვდა. ერთი საათის განმავლობაში ყველამ მოიყარა თავი. მგოსანს მოართვეს ოთხ-ცხენიანი ეტლი ლამაზად მორთულ-მოკაზმული ცოცხალი ყვავილებით და სუროს ფოთლებით; სასტუმროსთან მალე შეიკრიბა ხალხი, უმეტესობა—რაჭველი მუშები; მოვიდა სხვა ეტლებიც; გამოიყვანეს აკაკი და გააჩერეს სასტუმროს წინ ქვაფენილზე, გარშემო გაუჩერდენ მხლებლები და ქუჩის ორივე მხრივ კი ხალხი; ამ გვარად გადაიღეს სურათები, როგორც ფოტოგრაფმა აგრეთვე სინემატოგრაფმა. შვიდ საათზე აკაკი ჩაჯდა ეტლში და დაიძრა ყველა ეტლები. მგოსანს ქუთაისიდან გაჰყვნენ რაჭა-ლეჩხუმში კომისიის წევრები ვ. პეტრიაშვილი, ს. დათეშიძე და იაკობ ვარაზაშვილი, ამათ გარდა — მხატვარი კოტე ქავთარაძე, „რადიუმის“ თეატრის სინემატოგრაფზე სურათების გადამღები ვ. ამაშუკელი, „კოლხიდის“ რედაქტორი მ. ჯაფარიძე და მეც, ამა სტრიქონების დამწერი. წინ მიდიოდა მგოსნის ეტლი, შემდეგ ორი ეტლით მხლებლები და ბოლოს ათი ეტლით მგოსნის პატივისმცემელნი გამცილებლები. ქალაქის ნაპირას, ჭომაში სპირდონ წერეთლის ეზოში ვ. აბულაძისა და ს. მზეიძის განკარგულებით და დიასახლისების წერეთლის ქალთა თაოსნობით და სამსახურით მგოსანს და მასთან მოგზაურებს დაგვახვედრეს ჩაი, მივგიწვიეს ყველანი, ჩაი გაგრძელდა 30 წუთი; გადაიღეს სურათები როგორც ფოტოგრაფმა აგრეთვე სინემატოგრაფმაც მოგზაურებისა და დამსწრე საზოგადოებისა. ჩაის სმის დროს რაჭველმა მუშებმა მოხუცის რაჭველის ზურაბ დემეტრაშვილის ხელმძღვანელობით ჩააბეს ფერხული, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა ინტელიგენტმა რაჭველებმაც, [illegible] დარ. ჭიჭინაძემ, სამს. დათეშიძემ, სეფე მხეიძემ და სხვათ; [illegible] გამართეს ლეკური და ეროვნული სიმღერები; საყურადღებო იყო მოხუცის ზურ. დემეტრაშვილის შაირებით სიმღერა და ტაშის შეწყობა; ყველას სახეზე მხიარულობა ჰქონდათ აღბეჭდილი და დიდ სიამოვნებას და კმაყოფილებას გრძნობდნენ. გადმოვედით თუ არა ეზოდან ქუჩაზე, რაჭველებმა მგოსანს და მხლებლებს გზა დაგვილოცეს ღვინით და იმღერეს მრავალ-ჟამიერ; ამასობაში ორი ეტლით წამოგვეწივნენ დაფა-ზურნით ქართველი სტუდენტები, რიცხვით ოთხი და ქუთაისელი მოვაჭრე დ. ქებაძე, რომლებიც შემოუერთდნენ მგოსნის გამცილებლებთ მეოთხე ვერსზე გადაიღეს სურათები დიდებული მოგზაურობისა გამცილებლებითურთ.

ს. ოფურჩხეთში, მეათე ვერსზე, ჩანჩქერთან მგზავრები შეჩერდნენ; აქ ქუთაისელმა მღვდელმა ალ. გერსამიამ მოკლე სიტყვით დაულოცა გზა მგოსანს და უსურვა მშვიდობით მოვლა, ქუთაისის რკინის გზის სადგურის არტელის მუშამ **მიხეილ ხომასურიძემ** მიმართა მგოსანს შემდეგი ლექსით:

„დიდი ხანია, დიდო მგოსანო,
თქვენი ხილვისა მაქვს მე წყურვილი
და ვერ ვბედავდი, რადგან სწავლითა
არა ვარ სხვაებრ მე აღჭურვილი.

მაგრამ ჩემს გულში რაღაც ფეთქავდა,
გრძნობა არ მქონდა მე დახურული,
და ჰა ვეღირსე გულის წადილსა,
დღეს აღსრულდა ნატვრა-სურვილი.

—

დღეს მსურს მოგიძღვნა პატარა ლექსი,
ჩემს შესაფერად, ღარიბულ ენით,
რომ ობოლ ქვეყნის ერი ქართველი
დღეს გულს იმაგრებს ჯერ ისევ თქვენით.

—

თუმცა ვერ შეგამკობ, დიდო პოეტო,
როგორც რიგია და თვით წესია,
მაგრამ ნეტარ-გყოფს ქართველთ მგოსანო,
რაც ჩაგრულ ხალხზე დაგითესია.

—

საწყლისა შვილის ბლაგვი აზრნიჭი
თქვენებრ სიტყვებზე აგილესია,
მისთვის გადიდებს ქართველი ერი
ღვთის წინა გლოცავს თვით ეკლესია.

ქართველთა ტანჯვა აგიწერიათ,
ვით ძაფზედ ქარის კრიალოსანი,
ობოლთ და ბედკრულთ შენ ანუგეშე
ვით სალამური ტკბილად ხმოსანი.

მისთვის ღირსია ქება-დიდების
შენი ჰაღარა პატიოსანი;
რადგანაც გვამცნე, რომ შენ ხარ ობლის
და ქართველთ ერის დიდი მგოსანი.

—

მამულის დავალიანება საქართველოში.

I.

(თავად-აზნაურობის მიწა—ადგილი)

ტფილისის გუბერნია.

მიწად-მფლობელობის მდგომარეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ სოფლის მეურნეობაში მიწად-მფლობელობის საკითხი თუ სათანადოთ არ არის გამორკვეული და მიწა-ადგილი მწარმოებელ ხალხის ხელში მოქცეული—მეურნეობის განვითარებაც და საერთოდ ეკონომიურ ცხოვრების აღორძინება და წარმატება შეუძლებელი გახდება.

თვით ბატონ-ყმურ წეს-წყობილებაში საქმე ისე იყო დაყენებული, რომ მიწა-ადგილით გლეხ-კაცობა სათანადოთ სარგებლობდა. ეხლა კი, როდესაც ბატონ-ყმობა მოისპო და გლეხობა მძიმე უღელთან ერთად მიწიდანაც იქმნა განთავისუფლებული, საზოგადოებრივი ცხოვრება გაძნელდა, საზოგადო სიმდიდრის შექმნის საქმე ყოვლად შეუსაბამო პირობებში იქმნა ჩაყენებული, აქედან არის რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა ღრმა კრიზისშია ჩაფლული და მწარმოებელი ხალხი დრო და დრო შიმშილს განიცდის.

მაგრამ ძველი ცხოვრების წესების დანგრევით მდგომარეობა ისე შეიცვალა, რომ მიწად-მფლობელობის მდგომარეობა საშინელ პირობებში ჩავარდა. რამდენი რა არა სცადა მთავრობამ და თავად-აზნაურობის შეგნებულმა წრეებმა თავად-აზნაურულ მიწად-მფლობელობის დასაცავად, მაგრამ ყოველივე ცდა ამაო იყო. თავად-აზნაურული მიწა-ადგილი სულ მცირე ხანში ბაზარზე იქმნა გამოტანილი და ისე დანაწილებული, ისე დავალიანებული, რომ თავად-აზნაურულ მიწა-ადგილის პირველ-ყოფილ მთლიანობის აღდგენა ყოვლად შეუძლებელია.

მხოლოდ თავად-აზნაურულ წოდებრივობის უარყოფით და თანამედროვე რაციონალურ-უტილიტარულ პრინციპებით გამსჭვალვა უშველის საქმეს, მაგრამ ამ მხრივ საქართველოს თავად-აზნაურობა არაფერსა ჰზუნავს, ასე რომ მათი მამულის დარღვევა და დანაწილება ცხოვრების აუცილებლობას შეადგენს.

თავად-აზნაურულ მამულის დარღვევა და დანაწილება კაი ხნის ამბავია. მისი სათავე უნდა ვეძიოთ მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც თავად-აზნაურობის ეკონომიური დაუძლურება დაიწყო. ჯერ, როცა სათავად-აზნაურო ბანკები ჩვენში არ იყო დაარსებული, მანამდიც სწარმოებდა თავად-აზნაურულ მამულის დაგირავება და გაყიდვა გარეშე პირებზე. ასე მაგალითად 50 წლებამდე თავად-აზნაურობის მამულის დაგირავებით სახელმწიფო „პრიკაზიდან“ სამ მილიონ მანეთამდე ნაღდი ფული ჰქონდა აღებული; მარტო ქუთაისის გუბერნიის გლეხ-კაცობამ ქუთაისის გუბერნიის მომრიგებელ შუამავალს ბატონ-ყმობის მოსპობის პირველ ხანებში 63,668 საბუთის ქაღალდები წარუდგინა, რომელიც გლეხობის მიწად-მფლობელობას ამართლებდენ თავად-აზნაურობის მამულზე.

მაგრამ განსაკუთრებულ სისწრაფით თავად-აზნაურობის მიწა-ადგილის დავალიანება იწყება მე-69 წლებიდან, როდესაც ბატონ-ყმობის ლიკვიდაცია განხორციელდა. ხალხი მართალია ნივთიერად შევიწროებული იყო რეფორმების ცუდად წაყვანით, მაგრამ ცხოვრების ახალი პირობები გლეხ-კაცობას საწარმოვო ასპარეზს უხსნიდა და აქედან ეკონომიურად გამძლავრების საშუალება ეძლეოდათ. დაბალ წოდების ეკონომიურად გამძლავრება, თავად-აზნაურობის საწარმოვო ძალთა დაკნინება და საკრედიტო დაწესებულებათა დაარსება —აი რა პირობებმა და საიდან წარმოიშვა-განვითარდა ის დავალიანება მამულისა, რომელსაც ჩვენ ქვემოდ განვიხილავთ.

ამ წერილში განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ აღმოსავლეთ საქართველოს, ტფილისის გუბერნიას. ტფილისის გუბერნიაში მიწა-ადგილის **კერძო** მიწადმფლობელთა შორის უპირველესი ალაგი უჭირავს თავად-აზნაურულ მიწად-მფლობელობას. როგორც ჩვენი სტატისტიკოსი პატივცემული ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილი აღნიშნავს, რომლის ძვირფასი შრომა—როგორც ერთადერთი უახლოესი და სერიოზული ნაწარმოები1). ჩვენი მსჯელობის წყარო იქნება დაუმუშავებელი მასალების მხრივ—ტფილისის გუბერნიაში კერძო მიწადმფლობელთა საკუთრების რაოდენობა უდრის 1.285.747,8 დესეტინას. მიწა-ადგილის ამ საერთო რაოდენობიდან თავად-აზნაურობის მფლობელობას შეადგენს მთელი 999,216,1 დესეტინა, ე. ი. ვარგის მიწის მთელ 77,17%.

მაზრების მიხედვით თავად-აზნაურობის მიწა-ადგილი დანაწილებულია შემდეგ ნაირად:

			ათასი დესეტ.	
ახალქალაქის მაზრაში				
მიწის	1,32%	„	13,1	„
ახალციხის	2,74%	„	27,2	„
ბორჩალოს	25,20%	„	250,0	„
გორის „	34,64%	„	343,7	„
დუშეთის	9,41%	„	93,4	„
სიღნაღის	8,59%	„	85,2	„
თელავის	7,44%	„	73,8	„
ტფილისის	7,11%	„	70,6	„
თიანეთის	3,55%	„	35,2	„
	100 %		992,2	„

საერთო კერძო მიწადმფლობელთა ადგილში დაბალ წოდების ხალხს სულ მცირე მიწა-ადგილი ეკუთვნის. რაღაც 22.83%. თავად-აზნაურობის შემდეგ ტფილისის გუბერნიაში მსხვილი მიწდმფლობელი მხოლოდ რუსეთის ქონებათა სამმართველოა, ე. ი. ხაზინა. როგორც სასნოვსკი აღნიშნავს თავის ნაშრომში2) ხაზინის საკუთრებას შეადგენდა 1.575,6 ათასი დესეტინა მიწა. გაუმიჯნავი იყო და მიწად-მფლობელობის უფლებაში ედავებოდა ხაზინა ჩვენი ხალხის სხვა და სხვა წრეებს. 1900 წელში 1.766,8 ათასი დეს. მიწაზე, ასე რომ მიწადმფლობელობის მხრივ პირველი ალაგი ტფილისის გუბერნიაში ხაზინას უჭირავს.

თავად-აზნაურული მამული კი დღეს დაქსაქსულად უნდა ჩაითვალოს. ყოველ შემთხვევაში ამას გვეუბნება ცოცხალი სინამდვილე. მარტო სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკში დაგირავებული და დავალიანებული იყო 1903 წელში სულ 219,3 ათასი დესიატინა მიწა-ადგილი, ვალი კი აღებული მიწის დაგირავებით უდრიდა 5.412,3 ათას მანეთს. მთელი ეს მამული ყოფილა დაგირავებული მაზრების მიხედვით:

მაზრებში	მიწის რაოდენობა	ვალი
	ათასობით	
ახალციხის	—	—
ბორჩალოს	80,3 დეს.	2.168,0 მ.
გორის	55,5 „	1.256,7 „
დუშეთის	5,6 „	163,8 „
სიღნაღის	9,5 „	3 5,0 „
თელავის	20,3 „	492,0 „
ტფილისის	33,3 „	765,1 „
თიანეთის	14,6 „	251,7 „
სულ	219,3 —	5.412,3 „

ფრიად საგულისხმოა ვიცოდეთ მიწის რა ნაწილებიდან შესდგება ეს დავალიანებული ადგილები. სტატისტიკა ამ საკითხის გამორკვევაში ბევრ მასალას იძლევა და შეუძლებელია თავად-აზნაურობის მდგომარეობის. დასასურათებლად არ მოვიყვანოთ როგორც ბანკის ცნობებიდან სჩანს სხვა და სხვა ნაწილები მიწა-ადგილებისა მაზრების მიხედვით დაგირავებული ყოფილა სახელმწ. სათ.-აზნაურო ბანკში:

მაზრებში	სამოსახლო	საბაღოსნო	სახნავი	სათიბი	ტყე	საბალახო და საძოვარი
	ათასი დესეტინა					
ბორჩალ.	0,2	0,2	12,7	9,0	23,5	33,1
გორის	0,1	0,1	14,2	1,5	24,6	12,8
დუშეთის	0,10	0,08	1,4	0,1	3,8	0,6
სიღნაღის	0,02	0,3	3,2	0,7	4,2	0,8
თელავის	0,02	0,3	2,5	0,04	13,7	3,3
ტფილ.	0,07	0,2	6,6	4,0	15,8	5,8
თიანეთ.	0,03	0,009	1,2	0,2	12,6	0,5
გუბერნიაში	0,6	0,9	41,8	15,5	97,7	56,9

ფრიად საგულისხმო ცნობებია. თავად-აზნაურობის მამულის თითქმის ყოველ ნაწილს ამოუყვია თავი ბანკის ჰახრაკში. მარტო სახელმწიფო ბანკის ცნობები გვიჩვენებს, რომ მამულის საძოვარ-საბალახო, ხე-ტყე არის უმთავრესად დაგირავებული. უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ სინამდვილე მთელ გუბერნიაში, დავინახავთ, რომ მამულის სხვა და სხვა ნაწილი სახელმწიფო ბანკში დაუგირავებიათ:

სამოსახლო — 0,28%
საბაღოსნო — 0,42%
სახნავი — 19,58%
სათიბი — 7,27%
ტყე — 45,79%
საბალახო და საძოვარი — 26,66%
სულ 100%

თევდ. ღლონტი.

---

1) იხ. "Сборникъ статистическихъ свѣдѣній о частномъ землевладѣніи въ Тифлисской и Кутаисской губерніяхъ"— подъ редакціей Ф. Г. Гогичаишвили.

2 იხ. Сосновскій „Матеріалы по вопросу о распространеніи дѣйствій Крестьянскаго поземельнаго Банка на Закавказскій край“.

აქაც გადაიღეს სურათები და გავსწიეთ. 10 საათზე ჩავედით სად. **ნამახვანში,** საიდგანაც 10 წუთის შესვენების შემდეგ განვაგრძეთ გზა. ამ სადგურიდან მეოთხე ვერსზე ტელეგრაფის ბოძზე დავინახეთ სუროს ფოთლების ჩარჩოში ჩასმული წარწერა **„ლეჩხუმი"**; ამ ბოძთან, სადაც თავდება ქუთაისის მაზრა და იწყება ლეჩხუმის მაზრა გადმოვიდა მგოსანი ეტლიდან გაჩერდა მხლებლებითურთ და გადაიღეს სურათები. გავიარეთ რამდენიმე საჟენი თუ არა შემოგვეგებენ ლეჩხუმის მაზრის დერჩის საზოგადოების წარმომადგენლები 12 ცხენოსანი ეროვნული ტანისამოსით. ეგ. კახიძემ მიართვა მგოსანს პურ-მარილი და უძღვნა სალამი, ის. ახვლედიანმა მიმართა შემდეგის სიტყვით:

„ერთი თვეა რაც რაჭა-ლეჩხუმში გაისმა ხმა აკაკი მობრძანდებაო, შენის სახელის ხსენებაზე გულიდან რაღაც მძიმე რამ მოგვწყდება, თითქო ბორკილები დავამსხვრიეთ გავთავისუფლდით. აი ჩვენო დიდებავ, ნამდვილი ხალხის გულიდან ამონახეთქი სიტყვები. ვაშა ჩვენო სიამაყევ! შენი მქუხარე სიტყვები ამ კლდე-ღრესაც გამოაღვიძებს. ვაშა ჩვენო ჭირისუფალო, რომ შენი ენა გახდა ხალხისათვის სათაყვანებელი, ბედნიერი ხარ მგოსანო და ბედნიერი ვართ ჩვენც რომ შენმა შრომამ სასურველი ნაყოფი გამოიღო". ფოტოგრაფ-სინემატოგრაფმა გადაიღეს სურათები ცხენოსნებით და გაუდექით გზას.

მშვენიერ სურათს წარმოადგენდა მგოსნის ეტლი, ვარდ-ყვავილებით მორთული გარშემო ცხენოსნებით, ორპირი ეროვნული ხმით მომღერლები და მას უკან მხლებლებით მიმავალი. ნათელ-ღრუბლიანი ცაც ხელს გვიწყობდა და ვითარცა მოსეს ხალხს ეგვიპტიდან სამშობლოში მიმავალთ გვიფარავდა გზის სხივებიდან. მოგზაურები ვსტკბებოდით მარჯვნივ ფაზისის ღუდუნით და მარცხნივ უზარ-მაზარი კლდეების, ბუნების სიდიადის ცქერით. ასეთი ამბით და მხიარულებით ჩავედით მექვენაში, სადაც დაგვხვდა დერჩის საზოგადოება განურჩევლად სქესისა და წოდებისა რამოდენიმე ათასი სული.

(დასასრული იქნება)

ლადო ბზვანელი.

გორის ჭირ-ვარამი

ნორმალური დასვენების შემოღება. ქალაქის სანიტარული მდგომარეობა, ინტელიგენციის გულგრილობა საზოგადო საქმისადმი.

როგორც მოგეხსენებათ, წარსულ სესიაში სახელმწიფო სათათბირომ მიიღო სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთათვის ნორმალურ დასვენების კანონ-პროექტი. კანონ-პროექტი, როგორც ყოველთვის, დაბლიდან მაღალ ინსტანციაში გადავიდა. მთელ სავაჭრო-სამრეწველო დარგში მოსამსახურენი და მათთან მთელი მოწინავე რუსეთი გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა მის ბედ-იღბალს. სახელმწიფო საბჭოში ყოველ კუთხიდან ბლომად მიდიოდა დეპეშები მრავალი ხელმოწერით, კრება-კრებაზე იმართებოდა, დეპუტაცია-დეპუტაციას მისდევდა—სთხოვდნენ მინისტრებს, საბჭოს წევრებს, სთხოვდნენ მაღალ თანამდებობის პირთ დახმარებოდნენ კანონ-პროექტის მიღება - დამტკიცებაში. დიდი ხნის გაწამაწიის შემდეგ საბჭომ იგი მიიღო. დაკანონდა ათი საათის სამუშაო დრო. მოსამსახურეთ შეძლება მიეცათ ცოტა თავისუფლად ამოესუნთქათ, გონებრივ წარმატებისათვისაც ეზრუნათ. მაგრამ ნოქარ-მოსამსახურეთა „კმაყოფილებასთან" ერთად დაიბადა ალების უკმაყოფილება და სადაც პირველნი სუსტ ძალას წარმოადგენდნენ, იქ უკანასკნელებმა თავიანთი გაიტანეს, კანონს ცხვირი აუკრეს და ძველებურად 15—16 საათის სამუშაო დრო დააწესებინეს.

ასევე მოხდა გორშიც. კანონი ძალაში შესულა, მაგრამ ვაჭრებს და სხვა სამრეწველო დაწესებულებათა პატრონებს პროტესტი განუცხადებიათ და „საშიში" კანონი გორის საზღვრებიდან განუდევნიათ. დადგა ძველი დრო. დუქნებს აღებდნენ დილის 6—7 საათზე და ჰკეტავდნენ ღამის 11—12 საათზე და იქნება გვიანაც. წარმოიდგინეთ ნოქარ-შეგირდთა ჯოჯოხეთური მდგომარეობა. მაგრამ მათაც გადასწყვიტეს ესარგებლათ მთავრობის მიერ ბოძებულ „მოწყალებით". საერთო თხოვნით მიმართეს ქალაქის მოურავს ნორმალური დასვენება კვლავ ძალაში შესულიყო.

იმანაც მათს თხოვნას კანონიერი მსვლელობა მისცა და 12 ივლისს პოლიციამ საყოველთაოდ გამოაცხადა-ყველა დაწესებულებანი, სავაჭრო თუ სამრეწველო, უნდა გაიღოს დილის რვა საათზე და დაიკეტოს საღამოს ექვსზეო. გორის მკვდარ ქუჩებს გამოცოცხლება დაეტყო, ვაჭარ-ნოქარნი ჯგუფ-ჯგუფად, ცალ-ცალკე გამოიშალნენ სუფთად გამოწყობილნი. ერთნი ბჭობდნენ მთავრობის ასეთ კანონის „უვარგისობაზე", ვაჭრობის დაცემაზე, მეორეთ უხაროდათ გამარჯვება, უხაროდათ, რომ ადამიანურად პატარას ამოისუნთქავდნენ, დუქან-მაღაზიის ოთხკედელ შუა დახშულ გონებას პატარა საზრდოს მიაწოდებდნენ.

მეტი სიცოცხლე დაეტყო საქალაქო ბაღსაც. ყველა კარგი, მაგრამ ადმინისტრაციას ერთი რამ დაავიწყდა-სამიკიტნოების დაკეტვა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ გორში არ არსებობს არავითარი წიგნთსაცავ-სამკითხველო, არავითარი სახალხო სახლი ანუ სხვა რამ დაწესებულება, სადაც შეიძლებოდეს გონივრული გართობა, თავისუფალ დროს გატარება, მაშინ სამართლიანად უნდა ვაღიაროთ ვაჭრების ჩივილი: გვაკეტინებენ იმიტომ, რომ ჩვენი ბარაქა სამიკიტნოებში წავიდესო. დუქნები იკეტება 6 საათზე, სამიკიტნოები კი 11 საათამდე ღიაა. შედეგი ცხადია. ჩამოიარეთ სამეფო ან სხვა ქუჩაზე: ელექტრონით გაჩირაღდნებული სამიკიტნო, ცივცივად მოხარშული ციმორი, გვერდებ შებრაწული გოჭი, თეთრი ატენური თვალწინ გეშლებათ, გიზიდავთ თავისკენ, ათასგვარ „პოეტურ" გძნობათ გიღვიძებთ... მაშ განა გასაკვირველია, თუ სტუმარი მიკიტანს დღეს მეტი ჰყავს და ისიც გულგადაღელილი, კმაყოფილი, ეშმაკურის ღიმილით გაჰკივის დახლიდან.

— ვა, ვა, ვა, იხარის ჩვენმა მუშტარმა!..

სწორედ რთველი დაუდგათ მიკიტნებს, რთველი!.. უმისოდ ჩვენი ინტელიგენტები ყურებს გვიჭედენ ხოლმე—ხალხის ჭირისუფალნი ვართ, ხალხის გულშემატკივარიო. აგერ, დადგა გამოცდის დროც. მიეშველეთ მას იაფფასიანი წარმოდგენებით, ლექციებით, სახალხო სეირნობით, რათა თქვენი ზნეობრივი ვალი მოიხადოთ და ხალხმაც დააფასოს თქვენი ამაგი...

* * *

მოგეხსენებათ ხოლერა რუსეთის ცხოვრების თანდაყოლილი სენია. წელიწადი არ გავა ისე, რომ ათი ათასობით არ დაასამაროს ამ საზარელმა სენმა, მილიონობით არ შთანთქას ოფლით მონაგარი სახალხო ფული... ხშირად შორეული სტუმარი ჩვენც გვეწვევა ხოლმე და საკმაო ზიანს გვაყენებს ჩვენივე დაუდევრობის, გაუფრთხილებლობის გამო. აგერ ეხლაც ხოლერა უკვე გაჩენილა ასტრახანში, ბაქოს გუბერნიაც ამ სენის მხრივ საშიშოდ გამოაცხადეს, დიდს მზადებაშია ჩვენი დედა-ქალაქიც, ხოლო ჩვენ, გორელებს, კი ჯერ ყურიც არ გაგვიბერტყია. ჩვენი ქალაქის მდგომარეობა კი სულ სხვას გვიკარნახებს. არსად რიგიანი წყალი, ქუჩები ბინძური, ჩემი არა გჯერათ? გაიარეთ საარტილერიო შესახვევში, ჰნახეთ რა ხდება ცერცვაძის სახლის წინ. პატარა რუს ნაპირი 1-2 საჟენზე მწვანეთ ჩამპალა, ჩამყაყებულა.. ამინდის დროსაც კი სჭირს აქეთ გავლა, წვიმის დროს ხომ ნავი უნდა იქონიოთ თან, ან ცურაობა იცოდეთ. ცოტაც და უექველია აქ ბაყაყები გაჩნდებიან და თვის სამო კონცერტით დაუტკბობენ ბ. ცერცვაძეს ყურთასმენას!!.. და ეს შიგ ქალაქში და იმ ალაგას, სადაც თვით ქალაქის გამგეობის მსახურთ არა ერთხელ უხდებათ გავლა. მთელ ქუჩაზე კი მეტ წილ სახლებს ეზოები არა აქვს და ჩირეცხს თუ სხვა სიბინძურეს პირდაპირ ქუჩაში აქცევენ. მიბრძანდით ახლა ბ. კობერიძის საავადმყოფოს წინ. დღემდე წყლის ამოდენა არხები დამყაყებულ მორევს წარმოადგენენ. ახლოს მისვლაც კი ძნელი იყო. ეხლა ეს სიბინძურე ამოუწმენდიათ, მაგრამ იმის მაგივრად, რომ მალე მოეცილებინათ იმ ადგილებისთვის, შორს სადმე გაეტანათ, იქვე, ნაპირებზე დაუგროვებიათ, ალბად უიმისოდაც ჩამოღონავებულ მოქალაქის ყნოსვის დასატკბობად!!. გაიარეთ ახლა სემინარიის პირველსა და მეორე შესახვევის შუა გარდი-გარდმო მდებარე უსახელო ქუჩაზე (ბევრი ვეწვალე, მაგრამ სახელი ვერ გავიგე). სჩანს აქაც წყალს ეზოს გარედ აქცევენ. უარხოობის გამო წყალი მწვანედ ჩახავსებულ-ჩამპალა. რას ამბობენ ჩვენი „სანიტარები" თუ ოდესმე გაუვლიათ აქეთ?!. ინახულეთ ახლა „წმინდა წყალი", მაგრამ ეჰ, აქ ხომ სულ ღატაკები სცხოვრობენ და ისინი ანგარიშში არ არიან მისაღები! ჭაობების ამოშრობას ვინ სჩივის, როცა ამოდენა უბანი განათებული არის და როდესაც ქალაქი ლექტრონით „გაჩირაღდნებული" აქ ბნელეთია გამეფებული.

შავი ზღვის პირად

ძღვნად ს. ელიაძეს.

შავი ზღვა ზეცას გულში ჰხატავდა,
ჭავლი ვერცხლისფრად მოცინარობდა;
ხანდისხან მხოლოდ ტალღა მსუბუქი
კლდეს ფრთას დაჰკრავდა, თითქოს ჰხარობდა.

ვიდექით მარტო და ჩვენი ფიქრი
იყო თვით სულის გამომსახველი;
ერთურთს შევნიშნეთ,—გულს გვიმწარებდა
ბედშავ მამულის სევდა-ნაღველი.

მეგობარს

როს ჩემი სული სევდამ დაჰფაროს,
დაჭრილმა გულმა ცრემლი დაჰღვაროს,
მამულს ვუმზერდე განადგურებულს—
ოჰ, ნუ მთხოვ იმ დროს სიცილს აგზნებულს.

როს ვარდი დასჭკნეს სიხარულისა,
ჟამი დამიდგეს სინანულისა
ვსთქვა თუ: ოჰ, ბედო, რისთვის ილოდე—
მო, მეგობარო, ჩემთან სტიროდე.

როს მამულისთვის დღემ კვლავ იდაროს,
ველმა ყვავილთა ბადე იფაროს,
ერი ჰხარობდეს ბედკრულ დღიანი,
შვება მატკბობდეს ესდენ გვიანი—
ჩემი სიმღერა მაშინ ისმინე,
მო, მეგობარო, ჩემთან იცინე!

ქიზიყი.

ა. შანშიაშვილი.

დროა, დრო ჩვენმა „მამებმა ბამბა გამოიღონ ყურიდან, თვალი გაახილონ და ქალაქის დასუფთავებას შეუდგნენ. მტერი მაშინ არის საშიში, როცა ზანაკში შემოიპარება, მანამდის კი მისი მოგერება ადვილი საქმეა!!..

* * *

ყოველ დროს, როცა კი კალამს ვიღებ ხელში გორის ჭირ-ვარამის აღსანუსხავად, ჩვენი ინტელიგენტების გულგრილობა მეტუზება თვალწინ. ამ დალოცვილიშვილთ სახელი კი უყვართ, უყვართ, როდესაც მათზე უთითებენ, მათზე ლაპარაკობენ, საქმის გაკეთება კი ალლაჰმა უწყის, და თავიანთ ქცევით იმ ბუზს მოგაგონებენ ხარს რომ აჯდა რქაზე და აქეთ-იქით მედიდურად გაიყურებოდა. შემომხედეთ, უბრალო ვინმე არ გეგონოთ, მეცა ვხნავო. 3—4 წელიწადია დიდის რიხით გახსნეს სახ. უნივერსიტეტი, მაგრამ... დღემდე მხოლოდ ქაღალდზე არსებობს და მისი ჭირისუფალნი თავს იმით მართლულობენ—ლექტორების „კრიზისიაო" (??) ერთის ამბით დაარსეს მეხილეთა ამხანაგობა, გამგეობის წევრთა სურათიც გამოგვიჭიმეს გაზეთში, მაგრამ მეორე დღესვე არქივს ჩაბარდა და დღემდე მისი აღარა ისმის რა. 2—3 წლის „ბრძოლის" შემდეგ მთავრობამ ნება დაგვრთო ქალაქსა შინა გორსა გაგვეხსნა ფილიალური განყოფილება ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებისა, 4—5 თვეა გავხსენით კიდეც, მაგრამ... ფაქტიურად ჯერ არ დაბადებულა და უკვე სულს ღაფავს. ერთი უბრალო სეირნობაც ვერ გავმართეთ მის სასარგებლოდ, თუმცა რამდენიმეჯერ გაზეთით ვაუწყეთ ქვეყანას ესე ამბავი, მაგრამ ჩვენ ხომ მხოლოდ სახელი გვიყვარს.

სანგანიძე.

ქართველთა უძველესი ეკლესია ს. ილორში

(აფხაზეთშია)

სოფელი ილორი, მდებარეობს დაბა ოჩემჩირიდან სამი-ოთხი ვერსის მანძილზე, და დ. ოჩემჩირიდან ნახევარ საათის საეტლო გზაა. ამ პატარა სოფელში არის ქართველთა უძველესი ეკლესია, რომელიც ყოველ მხრივ მდიდარი და დიდათ საყურადღებოა, სადაც ერთ დროს ყვაოდა ქართული ცხოვრება და კულტურა.

16 ივლისს დილით დაბა ოჩემჩირიდან გავემგზავრეთ მის დასათვალიერებლად. ნახევარი საათის სასიამოვნო მგზავრობის შემდეგ მივედით. შორიდანვე შევნიშნავთ ძველებურ ქვის გალავანს რომელიც შემოვლებული აქვს მთელ ეზოს. ეზოში შესასვლელად დატოვებული აქვს კარგა მოზრდილი კარი ძველებური თაღით. ეკლესიის კედლები სქელია და მკვიდრი. ხუროთ მოძღვრება წმიდა ქართული სტილისაა. როგორც ამ ეკლესიის კარის მღვდელმა მამა მანჯგალაძემ აგვიხსნა, ეკლესია პირველად პატარა ყოფილა, შემდეგ მიუშენებიათ კარგა მოზრდილი ნაწილი. ეკლესიის ძველ კედელში არის რკინის სამი მოდიდო ფიცარი, რომლებზედაც არის ძლიერ ძველი ქართული წარწერები, მაგრამ სამწუხაროდ წარწერათა ამოკითხვა შეუძლებელია, რადგან ძლიერ გადაუშლია დროთა მსვლელობას. მათი გარჩევა ჩვენთვის კიდევ უფრო ძნელი იყო, როგორც არა სპეციალისტთათვის. მამა მანჯგალაძის გადმოცემით ერთი ფიცარი დიდი ხნის აღმოჩენილია, ხოლო ზევითა ორი კი დაფარული ყოფილა გაჯითა და ეხლახან აღმოჩენილა.

თვითონ მამა მანჯგალაძემ გადმოგვცა: „შესაძლებელია სხვა წარწერებიც იყოს მაგრამ გაჯით უნდა იყოს დაფარული"-ო. მისივე გადმოცემით აქა ყოფილა ჩვენი პატივცემული მკვლევარი ბ-ნი თ. ჟორდანია, მაგრამ წარწერები ვერც იმას გაურჩევია. კარგი იქნება, რომ უფრო სერიოზულად შეუდგებოდნენ ჩვენი მკვლევარნი ამ ეკლესიის, წარწერათა და ისტორიის გამოკვლევას.

ეკლესიაში დაცულია მრავალი ძველის-ძველი ხატები, რომელნიც შემკულნი არიან ძვირფასი ქვებითა და ქართულ წარწერებით.

არის სამი დიდი ხატი წმიდა-გიორგისა ძვირფასი ქვებით შემკული, აგრეთვე ღვთის-მშობლისა და სხვა წმიდანთა. ზოგიერთ ხატზე სიძველისა გამო სრულიად გადაშლილია მხატვრობა. აქვე ინახება წმიდა გიორგის ნაწილებიც.

არის აგრეთვე ომარ-ხანის ორი მახვილი ძვირფასი ქვებით მოჭედილი. როგორც მამა მანჯგალაძემ გადმოგვცა, ეს მახვილები ნაპოვნი უნდა იყოს ბრძოლის ველზე, ომარ-ხანის დამარცხებისა და გაქცევის შემდეგ. აქვე ინახება მეფე ბაგრატ მესამის მიერ შეწირული ოქროს ბარძიმ-ფეშხუმი წარწერებით, და სხვა ძვირფასი ნივთები. ჩვენდა სამწუხაროდ ვერც ერთი წარწერა ვერ წავიკითხეთ ამ წარწერებიდან. ძლიერ ბევრი რამის გამოკვლევა შეიძლება და ძლიერ ხელს შეუწყობს ჩვენ მკვლევართ გამოკვლევაში, თუ-კი ეს უკანასკნელნი ენერგიულად შეუდგებიან ამ დიდ მნიშვნელოვან საქმეს.

ისარი.

მოწერილი ამბები

სოფ. კასპი. (გორის მაზრა).

ვისაც ამ უკანასკნელ ხანებში მოხდენია სოფლად ყოფნა. იცის, თუ რა გაჭირებას განიცდის ქართლელი გლეხი ავაზაკებისაგან; მათის შიშით უბედური გლეხკაცი თრთის, ყაჩაღი ელანდება მას ძილშიც და ცხადლივაც. საკმარისია რომელსამე სოფლელს კარზე მოადგეს ვინმე და უთხრას: „ბიჭებმა" გამომგზავნეს და ესა-და-ეს დაგავალესო", რომ საბრალო გლეხი მთლად დაიბნას... ამიტომ ერთობ გასაკვირველი და ღირს შესანიშნავია ის გაბედულობა, რომელიც გამოიჩინა ამ დღეებში კასპელმა მცხოვრებმა გლეხმა სოლომან ღვინიაშვილმა. 17 ივლისს მას ეწვია ერთი ვინმე, როგორც თვითონ მოსულმა სთქვა „ბიჭების" მოციქული და ფული სთხოვა. ღვინიაშვილმა არც აცივა, არც აცხელა და ერთი ხეირიანად მიბეგვა „მოციქული". ხოლო როცა უკანასკნელმა მუქარა დაუწყო,—„მასპინძელმა" დაიჭირა და პოლიციას გადასცა ხელში თავაგდებული „სტუმარი". ღვინიაშვილი შეძლებული გლეხია, მისი ხელობა ღვინით ვაჭრობაა.

შეუპოვარი.

ქართულ პროსოდიის გამო

(პასუხად ჩემს მოკამათეს)

ახლა კი სულ აირია მონასტერი და მალე ერთმანეთისას ვეღარას გავიგებთ ქართულ პროსოდიის საქმეში. და ან კი რა გასაკვირველია, როცა თითოეული მკვლევარი სცდილობს თავისი თეორია შეჰქმნას და ნაკლებად უგდებს ყურს იმას, რაც მის კვლევამდე სხვას უთქვამს რამ და გამოურკვევია. აქამდე გვეგონა და დარწმუნებული ვიყავით, რომ ქართულში, როგორც ყოველ სხვა ენაში, მახვილი, თუმცა სუსტი, მაგრამ მაინც არსებობს და მტკიცედ განსაზღვრული ადგილი უჭირავს, მკვდარია, უცვლელი, მტკიცე კანონზედ დამყარებული... პროსოდიაში კი ეს მკვდარი მახვილი თითქო ცოცხლდება, მოძრაობის გუნებაზედ მოდის, მაგრამ იქაც იმავ გარდუვალს კანონს ემორჩილება. რა კანონია ის ძირითადი კანონი, რომელსაც ექვემდებარება მახვილი ცალკე პროზასა და ცალკე ლექსში? ეგ ის კანონია, რომ ორ-მარცვლოვან სიტყვაში მახვილი მოდის ბოლოდან მეორე მარცვალზედ, ხოლო სამსა და მეტს მარცვლოვანში ბოლოდან მესამეზედ. აი ამისი მაგალითი: მამა, მამისა, მამისასა; უკანასკნელს სიტყვაში მახვილმა ადგილი იცვალა, იმიტომ რომ არსებობს კანონი: როცა სიტყვა სამ მარცვლოვანზედ მეტია, მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზედ უნდა მოვიდესო.

ეს ასეა საგრამატიკო მახვილისათვის.

რაიცა შეეხება სალექსო მახვილს, ანუ მახვილს ლექსში, იგი მახვილი იქაც ამ კანონს ემორჩილება, მხოლოდ სიტყვად იქ იგულისხმება სალექსო მუხლი, სულ ერთია, იმ მუხლში ერთი სიტყვა იქნება მოყოლილი, ორი, სამი, თუ გინდ ოთხი. თუ ერთი სიტყვა ისე მრავალმარცვლოვანია, რომ ორს სალექსო მუხლს გასწვდა, მაშინ ამ ერთს სიტყვას ორი მახვილი აქვს. მაგ.

ნუ იცინი, | ნუ მაცინებ,
თორემ გაგვა | ქორებენო;
შეგვიტყობენ | სიყვარულსა,
გაგვაშორი | შორებენო.

კარგად ჰხედავთ, რომ თითოეულ მუხლში სამ მარცვალზედ მეტი მარცვალია; თითოეული მუხლი ერთი სიტყვა კი არ არის, არამედ ზედ ერთვის ნაწილი სხვა სიტყვისა, მაგრამ, რაკი ეგ მუხლი იგულისხმება ერთ გრამატიკულ სიტყვად, მახვილი მოდის ბოლოდან მესამე მარცვალზედ. ხოლო უკანასკნელს სტრიქონში, როცა ერთი სიტყვა ისე გრძელია, რომ ორს სალექსო მუხლს გასწვდენია, იგი ერთი სიტყვა იგულისხმება ორ სიტყვად და მახვილიც ორი აქვს: გაგვაშორი ეს ერთი სიტყვა, შორებენო—ეს მეორე სიტყვა და თან მეორე სალექსო მუხლი, გინა საზომი, მეტრი ლათინურად.

მეორე მაგალითი:

გიძღვენ ქებანი, | მწადს აქ ებანი
დავითის, დავით | ვსჯდე მუსიკობად.

თუმცა პირველ მუხლში ორი სიტყვაა, მაგრამ მახვილი ერთია, მეორეში სამი სიტყვაა, მაგრამ მახვილი ერთია.

ეს კანონი საყოველთაოა ლექსში, ქართულს პროსოდიაში, აუცილებელი და სავალდებულო. პროსოდიის მახვილი არ დაეძებს არც გრამატიკას, არც ლოგიკას. პროსოდია უწყალოდ ჰგლეჯს სიტყვას ორ ნაწილად, თუ ზომამ მოითხოვა და ერთს ნაწილს ერთს სალექსო მუხლში აქცევს, ხოლო მეორეს უმატებს მეორე მუხლსა. ამასთანავე დაჯდება იქ, საცა მესამე მარცვალია ბოლოდან გამოანგარიშებით, თუნდა ეს მარცვალი იყოს კავშირი და, გინდა შორის-დებული, გინდა ბოლოდან პირველი მარცვალი სიტყვისა. მაგ.

ტყეს ესხმება | ფოთოლი,
აგერ მერცხა | ლი ჰყივის;
ბაღში ვაზი | ობოლი
მეტის ლხენი | თა სტირის...

ამავე კანონს მახვილისას ექვემდებარება, რასაკვირველია, ლექსი რუსთაველისაცა.

როგორ უნდა ვიკითხოთ ეს ლექსი, ძველებურად, წართქმითა ან ღიღინით, როგორც ძველად კითხულობდნენ, თუ ისე, როგორც ახლა ვკითხულობთ საზოგადოდ ლექსებსა, მათ შორის რვასა, გინდ თექვსმეტ მარცვლოვანსა, რაიცა, ჩემის ფიქრით, ერთი და იგივეა? ეგ რასაკვირველია, გუნებაზეა დამოკიდებული. ვისაც როგორ ეპრიანება, ისე კითხულობს. მაგრამ ვინც როგორ უნდა წაიკითხოს, ზემოხსენებულს კანონს ვერ ასცდება საპროსოდიო მახვილისას. შეიძლება რუსთაველის ლექსის თითოეული ტაეპი ან სტრიქონი ორ სტრიქონად გაჰყო და დასწერო, თან წაიკითხო ორ-ორ და ოთხ-ოთხ მუხლად; შესაძლოა ექვს-ექვსადაც გაჰყო, როგორც ჰფიქრობს ჩვენი მოკამათე და სპონდეოსიც აღმოაჩინო შიგა, ამფიბრახიცა, იქნებ ანაპესტიცა... კაცია და გუნებაო!.. მაგრამ საქმე ეგ არ არის. ძაღლის თავი იქა ჰმარხია, რა უფრო შეეფერება ქართულის ლექსის ბუნებას და ამ შემთხვევაში რუსთაველისას? რუსებიც სწერდნენ და კითხულობდნენ თავიანთ ლექსებს ორასის წლის განმავლობაში ლათინურ-ბერძნულისა (მეტრული წესი) და ფრანგ-პოლონელების (სილაბიური წესი) მიბაძვითა და მით ამახინჯებდნენ ბუნებას თავიანთ ენისასა და ლექსისას, ბუნებით ტონურის წესისას, ვიდრე ტრეტიაკოვმა, ლომონოსოვმა და დერჟავინმა არ გაარკვიეს ეს საგანი თეორიულადაცა და პრაქტიკულადაც. მერე ხომ ვიცით, როგორ გამშვენიერდა ეს რუსული ლექსი ჯერ ჟუკოვსკისა და ბატიუშკოვისა და მერე დიდის ხელოვანის პუშკინის ხელში, ამ რუსთა ლექსთწყობის უმაღლეს კეთილ-ხმოვანებამდე ამყვანის ხელში!

მაგალითად, წასაბაძ მაგალითად ის კი არ უნდა გვქონდეს, რაც მახინჯია და ქართულის ბუნების ძალდატანებას ჰგავს, როგორც

ეო, მეო,
შვილო დემეტრეო!..

ანუ

მოწყალების კარო,
შენს ზღრუბლს მოვეკარო!..

რაც დაწერილია სასიმღეროდ, საგალობლად, არამედ ისეთი რამ, რაც საყოველთაოდ გავრცელებულია, უმაღლესად კეთილხმოვანი და მუსიკებრივის ჰარმონიით ალსავსე.

ასეთი ლექსებია რუსთაველისა და სხვათა ძველთა და ახალთა მგოსანთა და მათი ძირითადი თვისებანი არ უდგება, ბუნებითა თვისითა არ შეეფერება არც მეტრულს წესს და არც ტონურსა.

რუსთაველის ლექსი რომ ჰექზამეტრით იყოს დაწერილი, ასე უნდა გავყოთ მაგ. პირველი ხანა მეორე კარისა მუხლებად:

— — | — ◡ ◡ | — ◡ ◡
ნახეს | უცხომო | ყმე ვინმე ||,
სჯდა მტი | რალი წყლი | სა პირსა...

ექვსი მუხლი კი გამოვა, მართალია, ჰექზამეტრისებური, მაგრამ სპონდეოსი, ბოლოს მაგიერ, თავში მოექცევა, შუაშიც გაჩნდება ცეზურის შემდეგ, ხოლო მარცვალთა რაოდენობა მაინც თექვსმეტი იქნება და არა ჩვიდმეტი, როგორც ბერძნულ ჰეგზამეტრშია.

აი მაგალითი ბერძნულის ჰექზამეტრისა:

— ◡ ◡ | — ◡ ◡ | — ◡ ◡ | — ◡ ◡ | — ◡ ◡
ანდრამი | ენეპე | მუსაპო | ლიტროპონ | ოსმა ლა
| — —
| პოლლა...

აბა, რა არის, ერთი მიბრძანეთ, საერთო ამ გვარ პროსოდიისა და რუსთაველის ლექსს შორის? არაფერი.

არ მესმის, როგორ მოჰხდა, რომ ჩვენი მოკამათე ჯერ ამტკიცებს, ქართულში მახვილი ძალიან სუსტია, არც-კი ეტყობაო; მახვილის მაგიერ, გრძელმოკლეობა მარცვალთა არ არსებობსო და მერე-კი სპონდეოსი აღმოაჩინა რუსთაველის ლექსში და ისიც არა ერთი ტაეპში (სტრიქონში) არამედ ორი! ამას, ასეთს წაჯექ-უკუჯექობას, კოდელი წინოც ვერ ახსნიდა!

ამიტომ სჯობიან, ჩემის ფიქრით, დავანებოთ თავი ჭკუის ძალ-დატანებას და ჩვენის ვერსიფიკაციის ანუ წყობილ-სიტყვაობის კანონები ჩვენის ენისა და ჩვენის ლექსის დაკვირვების მიხედვით ნათელ-ვყოთ.

ჩვენებური ლექსთ-წყობა, რამდენადაც მის ბუნების დაკვირვებითა სჩანს, ბევრად უფრო სილაბიურსა ჰგავს, როგორც ამას ამბობს პროფესორი ჩუბინაშვილიცა, ვიდრე მეტრულსა ან ტონურსა. თვით ჩვენი მოკამათეც ხომ ამას ამბობს, რომ ჩვენს ენას არ შეეფერება ორკეცი, გრძელი და მოკლე მარცვალნიო. მაშ, მეტრულ ლექსთ-წყობის სისტემა, დამყარებული ამ მარცვალთა სიგრძე-სიმოკლეზედ რაღა მოსატანია ჩვენს პროსოდიაში? აგრეთვე არ შეეფერება ტონური სისტემაცა, რომელიც მახვილიან და უმახვილო მარცვალთა პერიოდულ რიგ-რიგობაზეა დამყარებული, რომლითაც შეუძლებელია გრამატიკულ მახვილის შეცვლა ლექსში. ისე რომ პუშკინს უსაყვედურებდნენ, რათა სთქვი ლექსის გულისთვის:

Гремитъ музыка боевая-ო? პუშკინმა კი მახვილი იქ დაუსვა სიტყ-

ვას, საცა არა ჯერ იყო, იმიტომ რომ იამბით დაწერილია ლექსი და უიმისობა არ იქნებოდა, იამბი დაირღვეოდა. ხოლო ის, რასაც რუსები ეძახიან ქალურისა და კაცურ რიფმის ნაცვალ-გარდობას და რაიცა ისეთს სოიცარს კეთილ-ხმოვანებას აძლევს რუსულს ლექსს, ქართულს სრულიად არ შეეფერება.

მაშ, ასე. ჩვენი ლექსთ-წყობა სილაბიურია, მარცვალთა რაოდენობის იგივეობას ითხოვს თითოეულს სტრიქონში და თვით მუხლიც იმდენი და ისე უნდა იყოს დაწყობილი მთლად ლექსში, როგორც მის პირველ სტრიქონსა ანუ ტაეპშია.

მთლად ქართული ლექსები ორ ჯგუფად განიყოფება: ერთია დიდი ჯგუფი და მეორე—მცირე. პირველის ჯგუფის ლექსები მთლად ძველის მწერლობისა და უმეტესი ნაწილი ახლისა ორ-მუხლოვანია, უცეზურო, ხოლო მეორე ჯგუფისა, რომელიც გაჩნდა მე-18 საუკ. ბოლოს და მე-19 საუკუნის დამდეგს—სამმუხლოვანია, ანუ მრჩობლედი, რთული.

პირველ ჯგუფის ორ-მუხლოვანი ლექსები არის: ექვს, შვიდ, რვა, იშვიათად ცხრა და ხშირად ათ-მარცვლოვანი, ხოლო მეორისა—თერთმეტ, იშვიათად თორმეტ და ცამეტ, ხოლო უმეტესად თოთხმეტ და აგრეთვე იშვიათად თხუთმეტ მარცვლოვანი.

ნარევ ლექსებისას არას ვამბობთ, რადგან იშვიათია ჩვენში ეგ ნარევი ლექსები და მათი კეთილ-ხმოვანებაც მცირეა, არა სახარბიელო.

ეს არის ჩვენი პასუხი ჩვენის მოკამათის წილადობილასი და უილაჯო ჩხირკედელაობისა ქართულ პროსოდიის საქმეში. რაიცა შეეხება მის დანარჩენ წილადობილას საზოგადოდ ქართულის ენის შესახებ, იმის პასუხი სხვა, უფრო მოცლილ, დროსათვის გადავდოთ.

დასასრულ, არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის არევ-დარევა ცნებათა, რომელიც ეტყობა ჩვენს მოკამათეს. ავტორს ვერ გაურჩევია, რა როლი აქვს მახვილს პროზაში და რა როლი აქვს ლექსში, წყობილ-სიტყვაობაში. ვერ გაურჩევია აგრეთვე ერთმანერთისაგან ტაეპი და ხანა, მარცვალი და მუხლი. არც ის იცის, რა თეორია დაჰბეჭდა ქართულ სიტყვიერებისა ბ-ნმა ს. გორგაძემ და რიხით კი ჰბრძანებს, ყველა სახელმძღვანელოში, რომელიც კი შედგენილ იქმნა სიტყვიერების თეორიის შესახებ, საუკეთესო და საფუძვლიანი ს. გორგაძის თეორიააო.

ასეა მუდამ ხამის კაცის საქმე, იმ კაცისა, რომელიც ყველგან ერევა, და დილეტანტობს, უკიდურესად დილეტანტობს. ტყუილად სწყინს ეს სიტყვა ჩვენს მოკამათეს. სწორედ ზედ-გამოჭრილია იმაზედ.

გრ. ყიფშიძე.

სხვა და სხვა ამბავი

სოკოები პარიზის ქუჩებზე.

პარიზელები ქუჩების პირად ჩამწკრივებულ ხის ძირებსაც კი არა სტოვებენ გამოუყენებლად. ხის გარშემო აკეთებენ სოკოს კვალს, რომელიც ზევიდან ჩელტით იხურება. კვალს საკმაო ფვინს (ნაკელს) დააყრიან რის გამოც მშვენიერად ამოდის ქამა-სოკო, მიუხედავად იმისა, რომ გარშემო გუგუნით დარბიან ეტლები და ავტომობილები.

ბეგარა სქელებზე.

სამხრეთ საფრანგეთის პატარა ქალაქმა უცნაური ბეგრის შემოღებით განიზრახა თვისი შემოსავლის გადიდება. ქალაქის საბჭომ, საფინანსო კომისიის წინადადებით, ერთხმად დაადგინა: ყოველ მოქალაქეს, მათ რიცხვში ქალებსაც, რომელთა სიმძიმე სამ ფუთ ნახევარს აღემატება შეეწეროს განსაკუთრებული გადასახადი. ის ვინც 5 ფუთს აღემატება წელიწადში იხდის 6 მან., 5-დან-6 ფუთამდე 9 მან., ასე ყოველ ზედმეტ ნახევარ ფუთს ემატება 3 მან. როდესაც ამ ახირებული გადასახადის აკრეფას, შეუდგნენ მცხოვრებლებმა დიდი მანიფესტაცია გამართეს და საბჭოს დადგენილება უმაღლეს ინსტანციაში განასაჩივრეს.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

24 ივლისი.

იტალია.

რომი. ლუცატს, რომელიც ამჟამად ლაგანოშია, „კორიერო-ტიჩინოს“ რედაქტორთან უსაუბრნია, უთქვამს, მართალი არის, რომ იტალიისა და ოსმალეთის მოღვაწეებს, ზავის მსურველთ, კერძო თათბირი ჰქონდათო. მაინც, ჯერჯერობით, შვეიცარიასა და არც სხვაგან სადმე იქნება თათბირიო.

სპარსეთი.

ქოი. სამღვდელოებამ, მემამულეებმა და ვაჭრებმა თავრიზელებს თანაგრძნობა გამოუცხადეს. თავრიზელებს საპეხდარის ჩასვლის გამო ბაზრები დაუკეტნიათ, რადგან ეშინიანთ, საპეხდარი აქ ცუდს ამბებს დაატრიალებს, კიდევ ასტყდება არეულობაო. დახმარებას ყველანი მთავრობასა სთხოვენ. კონსულს უთხოვნია, ბაზარს ნუ დაჰკეტავთ, იქ, სადაც რუსის ჯარი არის, წესიერებას ვერავინ დაარღვევსო.

გუბერნატორის ბრძანებით ჩამოახრჩეს ერთი ფიდაი, რომელიც რაჯებ-ალის ბრბოის ყაჩაღებს იარაღს აწვდიდა თურმე.

ყუმბარები.

კაჩანიკი. ყუმბარის სროლის შემდეგ ბაზარში დაიწყო ქრისტიანების აწიოკება, რომელშიაც მონაწილეობა მიუღიათ ჟანდარმებსა და ჯარსა. ამიტომ არის ბევრი დახოცილი და დაჭრილი, ქალაქს ჯარი არტყია გარსა.

სიცივე ინგლისში.

ლონდონი. უკანასკნელ 50 წლის განმავლობაში, ივლისში ასეთი სიცივე არა ყოფილა, რანაირიც ეხლა არის.

ოსმალეთის პალატის დათხოვნა.

სტამბოლი. სამინისტრომ სენატს წინადადება მისცა ოცდამეთოთხმეტე მუხლი კონსტიტუციისა იმნაირად განმარტე, რომ ეხლანდელი პარლამენტი დათხოვნილის გაგრძელებად ჩაითვალოსო. ამიტომ მუშაობის ვადა პარლამენტს 19 ივლისს უთავდებაო. სენატმა დაადასტურა მთავრობის აზრი.

ნაშუადღევს ორის ნახევარი იქნებოდა, როცა დიდმა ვეზირმა პალატის დათხოვნის ბრძანება წაიკითხა. იყვნენ მხოლოდ ათიოდე არაკომიტეტის დეპუტატნი. ბრძანების ამბავი პალატის პრეზიდენტს ტელეგრაფით შეატყობინეს. თავმჯდომარემ საჩქაროდ მოიწვია პალატა დილის 10 საათზე და ჯერ არ შეეტყობინებინა ბრძანების შინაარსი. წინადადება მისცა დეპუტატებს, არსებულ მდგომარეობის შესახებ გამოეთქვათ აზრი. ცხარე კამათი გაიმართა მინისტრად ნამყოფ თალათსა და ესად-ფაშას შორის. უკანასკნელი ამტკიცებდა, პალატა აღარ არსებობსო. მინისტრად ნამყოფმა ჯავიდმა ცხარე სიტყვა წარმოსთქვა სამინისტროს წინააღმდეგ და მოუწოდებდა დეპუტატებს, კონსტიტუცია დაიცავით და დაჰგმეთ სამინისტროს უკანონო მოქმედება, თუნდა სიცოცხლედაც დაგიჯდეთო. პალატამ გადასწყვიტა უნდობლობა გამოუცხადოს სამინისტროსა და შემდეგ სხდომა გადასდო. დეპუტატები დაიშალნენ, თავმჯდომარე სასახლეში წავიდა. ხონთქარს უნდა შეატყობინოს პალატის გადაწყვეტილება და წინადადება მისცეს ახალი კაბინეთის შედგენისა.

ოსმალთა და ჩერნოგორელების შეტაკება.

ცეტინიე. კოლასინის ველს ახლო ჩერნოგორელებსა და ოსმალებს შეტაკება მოსვლიათ, რაიც თითქმის ერთ დღეს გაგრძელებულა. სიმაგრეები ჩერნოგორელებს დაუნგრევიათ, ჩერნოგორელებისათვის 13 კაცი მოუკლავთ, ცამეტი დაუჭრიათ. ოსმალებისათვის 50 მოუკლავთ და ბევრი დაუჭრიათ.

იპეკი. ჩერნოგორიის საზღვარზე ოსმალოებსა და ჩერნოგორელებს შეტაკება კიდევ აქვთ.

რუსეთი

ხანძარი.

პეტერბურგი. ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა, როდესაც პეტრეს კუნძულზე ლუბიმჩევის ხეტყის მასალის ბირჟას ცეცხლი გაუჩნდა. ხანძარი ჩქარა გავრცელებულა და ახლო-მახლო შენობებსაც მოსდებია. მთლად დაიწვა ბირჟა, პეტრე დიდის სასახლე, ყაზარმა, პეტერბურგის სახანძრო საზოგადოების შენობა და რვა სახლი. საერთოდ, თითქმის ორი დესეტინა სივრცე გადაიწვა. ცეცხლში ერთი პატარა ბავშვი დამწვარა, ბევრი დაშავებულა. 10 საათზე ცეცხლი ძლივს შემოფარგლეს. ამბობენ, ზარალი ორ მილიონზე მეტი არისო

თეატრი და ხელოვნება.

ს: ვაქირი (ქიზიყი). იშვიათია ამ ბოლო დროს ქიზიყში ისეთი სოფელი, სადაც ზაფხულობით წარმოდგენები არ იმართებოდეს. 21 ივლისს სასოფლო სკოლის შენობაში დასდგეს ვოდევილები: **„დედის ერთა“**, **„დატრიალდა ჯარა“** და **„ცოლქრობის წინააღმდეგ“**. ამის შემდეგ წაიკითხეს ლექსები მ. გურიელისა, ი. ჭავჭავაძისა და შეშლილის წერილები გოგოლისა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მოთამაშეთაგანი წელს პირველად გამოვიდა სცენაზე, თავი შესაფერად ეჭირათ. ისეთ სცენის მოყვარეთა დახმარებით, როგორებიც არიან გ. მირიანაშვილი, ქ. ქ. ვარდიაშვილები, ნ. ყოჩიაშვილი და რ. ნასიძე, ყოველთვის შეიძლება პატარ-პატარა პიესების სოფლის სცენებზე დადგმა და ხალხისაგან გაღებული გროშებიც დაკარგულად არასოდეს არ ჩაითვლება. სასურველია, რომ სოფლის მოღვაწეებს სხვა დროსათვისაც არ დაეკლოთ ასეთი ნაყოფიერი შრომა და წარმოდგენებს გარდა შინაარსიანი სალამოებიც გაემართოთ. შიო-

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ქურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა
(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-V კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: საგარაკო მატ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 2 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და საბარგო მატ. № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ. და საბარგ. მატ.** № 109|104 I—III კლ. ვაგ. დილ. 1 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-V ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-II კლ. ვაგ. № 106, ღამ. [illegible] ს. 40 წ.

მცხეთიდან: საგარაკ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9|10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72|73, დილის 7 ს. 26 ს.

ერევნიდან საქონ. და სახ. № 80|81, შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ. და სახ.** № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

გემების მიმოსვლა
საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შევლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის $12\frac{1}{2}$ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ $12\frac{1}{2}$ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის $12\frac{1}{2}$ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.

ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ.

ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.

კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის ს. 45 წ.

ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.

ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

მეშედერსიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და კრასნოვოდსკიდან სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი. რკინის გზის ბილეთი და პლაცკატები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზი მერკური**“ ტელ. 682.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში, თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება
ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71

განცხადებანი

დაბა სამტრედია
ახალი აგურხანა.
ვამზადებთ დიდ ზომის აგურებს
6X3X1½ ვერშოკ. ზომიანს.
მშურველთ შეუძლიანთ შეიძინონ კარგი ღირსებ სა ზომიერ ფასებში. ყოველივე დაკვეთა სისწრაფით სრულდება.
პატივისცემით **პორფირე ჭეიშვილი.**
(თ. 1338.17)

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“—11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბეგახაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბეჟტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.
საღამოთი:
მ. გ. ბეჟტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1074.111)



სახელოსნო და საწყობი
ძეგლებისა.
ძმ. აგლაძეების.
მიხეილის პროსპ. № 48.
ვღებულობთ ყოველნაირს მარმარილოს, ლაბარატორის გრანიტის და ყოველნაირ მოზაიკის სამუშაოს, იატაკებსა და სხვებს ხელმისაწვდომ ფასებში.
(0.—5[illegible]2—11)

ექიმი **შ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ. № [illegible]

ექიმი **ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ, საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

განცხადება
იყიდება შემთხვევით ერთი სამოსახლო მიწა ზომით 70 საჟენი ახალ შენში—ზედ [illegible] ვერის ბაღებთან. მდებარეობა [illegible] ფასიც ღირებულებასთან შედარებით მცირეა. მსურველმა უნდა მიმართოს [illegible] ქუჩაზე, სახლი წილოსანი ა, № 54, მეპურე უთმელიძეს.
(2—563—2)

ე. ა. ცატუროვის
საწყობში
ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.
ფირმა არსებობს 1869 წლიდან
იყიდება
ნავთის სახურებელი ინვერტის ფარნები
„ი გ ა“,
გარედ გასანათებლად 200, 1100 და 1800 სანთლის სინათლისა ოთახში—200 და 300 სანთლის სინათლისა ეწინააღმდეგება: ქარბუქს, წვიმას, ქარს, თოვლსა და ყინვას. 1100 და 1800 სანთლის სინათლიანი „ი გ ა“-ს ფარნები ავტომატიურად ინთება, უპატრუქოდ მოქმედობს, არ საჭიროებს მავთულებს და ტუმბოს. საათში ნავთი უნდება:
200 სანთლის სინათლიანს . 25 მისხალი
1100 „ „ . . 32 „
1800 „ „ . . 80 „
სრულიად უბრალო და მაგარი კონსტრუქციისაა, და ამიტომ ფანარის ნაწილებს გამოცვლა არა სჭირდება.
სრულის თავდებობით, რომ ფარნები კარგად იმუშ ვებენ. ერთი წლის განმავლობაში **გაფუჭებულ ნაწილების უფასოდ გამოცვლა.** ვურჩევთ ქუჩებისა, სახლებისა, ეზოებისა, საწყობებისა, ყაზარმებისა და ფორტების გასანათებლად და სხვა. ერთის წლის განმავლობ ში **უფასოდ გამოვცვლით გაფუჭებულ ნაწილებს. ფასები ძლიერ ხელმისაწვდომია**
ერთად-ერთი წარმომადგენ. კავკასიასა, სპარსეთსა დ ოსმალეთში
საწყობი ე. ა. ცატუროვისა, ტფილისში.
აქვე შეიძლება შეკვეთა ელექტრონის განათების მოწყობისა, დიდის შიგ რჩევით **საელექტრონო არმატურისა**; შე ვეთილ საქმეს ასრულებენ სწრაფად და საუკეთესოდ.
(10 1396.2)

ცინკოგრაფია
ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ
კლიშეების დამზადებას.
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. (თ.—1307.13)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
იყიდება წიგნები: ისტორია, საეკლესიო და საეთნოგრაფიო მასალები:
Такайшвили Е., Описаніе рукописей О-ва распр. грамотности среди груз. населенія т. I. в. I . . ფ. 1 მ.
„ т. I. в. II . . „ 1 „
„ т. I. в. III . . „ 75 კ.
„ т. I. в. IV . . „ 75 „
„ т. II. в I . . „ 75 „
„ т. II в. II . . „ 1 მ.
„ т. II. в. III . . „ 1 „
„ т. II. в. IV . . „ 1 „
Археологич. экскурсіи, разысканія и замѣтки в. I. . ფ. 75 კ.
„ „ в. II . „ 75 „
„ „ в III . „ 1 მ.
Орбели I., Каталогъ Анійскаго музея древностей в. I, опис. предм. I отд. . . . ფ 1 მ.
Краткій путеводитель по городищу Ани . . . . . ფ. 40 კ.
Аваловъ З., Присоединеніе Грузіи къ Россіи . . . . , ფ. 1 მ. 50 კ.
Эристовъ Шарвашидзе., Памятная записка о нуждахъ Груз. народа . . . ფ. 1 მ. 25 კ.
Джаваховъ И. А.. Исторія церковнаго разрыва между Грузіею и Арменіею . . ფ. 20 კ.
Джанашвили М. Исторія груз. церкви . . . . . . ფ. 40 კ.
Прот. Кекелидзе.. Іерусалимскій канонаръ VII вѣка (грузинск. версія) . . . ფ. 2 მ.
Судьбы грузинской церкви в. IV . . . . ფ 20 კ.
Гамбашидзе., Гаенатскій монастырь . . . . . ფ. 25 კ
რენანი. ცხოვრება იესოსი, თარგ. ია ეკალაძისა . . ფ. 50 კ.
ადრესი: Тифлисъ, О-во распр. Гр. ср гр. насел. (წ. 1411.81).

საუკეთესო მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა!!!
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
ყურადღება!
(წ.1131.214)
მშვენიერი გემოსი და სურნელოვანია. მომზადების საუკეთესო საშუალების წყალობით დიდხანს უძლებს გადატან-გადმოტანას და ამიტომ ვურჩევთ სააგარაკოდ და საზღვარ-გარედ მიმავალთ მის შეძენას.
მივიღეთ აგრეთვე
ბოჭკის საუკეთესო
ხიზილალა,
გირვანქა 1 მ. 60 კ.

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
წელიწადი მერვე.
ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.
წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:
24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; 12 წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა-
-ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.
ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გოგელაურთან, **განჯაში** ბ. ამზოკაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.
რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე-**
(წ.—1393—88 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოს ბის ძე თუმანიშვილი.**

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12 სტამბა „შრომა“